AUDIT FIRM BAKASH ILI AND COMPANY

ბაკაშ ილი და კომპანია

აუდიტორული ფირმა

შპს „მ.ჯ.“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204 960 694

ფინანსური ანგარიშება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშებო

წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY

საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი,
ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15

Morison KSi
Independent member

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 41 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მ.ჯ.“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204 960 694

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო

წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 41 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, „მ.ჯ.“ (ს/კ 204 960 694) , მფლობელებს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მ.ჯ“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
E-mail: contact@bakashviliandco.com
NARAS - F - 887264
www.bakashviliandco.com
0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47, ბ.10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/კ / ID 211356922

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, „მ.ჯ." (ს/კ 204 960 694) , მფლობელებს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მ.ჯ" (შემდგომში „კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები") შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს") შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს") პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი") შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს

CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY
საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი,
ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15
Morison KSi
Independent member

მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2020 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
Email: contact@bakashviliandco.com
GRAS - F - 887264
www.bakashviliandco.com
0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47, ბ.10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/ კ / ID 211356922

მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2020 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე" - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY
საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი,
ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15
Morison KSi
Independent member

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნცქიონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
Email: contact@bakashviliandco.com
LRAS - F - 887264
www.bakashviliandco.com
0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47, ბ.10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
W3 / ID 211356922

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY
საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი,
ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15
Morison KSi
Independent member

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
mail: contact@bakashviliandco.com
RAS - F - 887264
www.bakashviliandco.com
0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47, ბ.10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/ კ / ID 211356922

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY
საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15
Morison KSi
Independent member

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
Email: contact@bakashviliandco.com
ARAS - F - 887264
www.bakashviliandco.com
0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47, ბ.10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/კ / ID 211356922

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY
საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი,
ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15
Morison KSi
Independent member

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს ნიკოლოზ ბაკაშვილი, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-263143.

ნიკოლოზ ბაკაშვილი

აუდიტორული ფირმა ,,ბაკაშვილი და კომპანია“ (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison KSi”-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში

რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

30 ივნისი, 2021 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
E-mail: contact@bakashviliandco.com
SARAS - F - 887264
www.bakashviliandco.com
0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47, ბ.10
47, Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/კ / ID 211356922

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით („კანონი") განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს ნიკოლოზ ბაკაშვილი, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-263143.

ნიკოლოზ ბაკაშვილი

აუდიტორული ფირმა ,,ბაკაშვილი და კომპანია" (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison KSi"-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში

რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

30 ივნისი, 2021 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 41 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY
საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი,
ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15
Morison KSi
Independent member

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	**31.12.2020**	**31.12.2019**
ძირითადი საშუალებები	**5**	1,613	1,920
არამატერიალური აქტივები	**2**	8	10
სულ გრძელვადიანი აქტივები:		**1,621**	**1,930**
მარაგები	**6**	1,896	2,815
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**7**	2,362	2,487
გაცემული ავანსები	**-**	1,254	3,811
საგადასახადო აქტივი (სხვა მიმდინარე აქტივი)	**8**	81	553
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**9**	168	282
სულ მიმდინარე აქტივები:		**5,761**	**9,948**
სულ აქტივები:		**7,382**	**11,878**
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
მფლობელთა საწესდებო კაპიტალი	**-**	2	2
გადაფასების რეზერვი	**-**	-	-
დაუფარავი ზარალი	**-**	1,320	2,777
სულ კაპიტალი:		**1,322**	**2,779**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	**10**	1,717	2,591
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		**1,717**	**2,591**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**11**	330	466
მიღებული ავანსები	**-**	625	4,417
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	**10**	3,388	1,625
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**4,343**	**6,508**
სულ ვალდებულებები:		**6,060**	**9,099**
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:		**7,382**	**11,878**

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან 2021 წლის 30 ივნისს.

დირექტორი: გიორგი ჭრელაშვილი ----------

ფინანსური მენეჯერი: გიორგი კობერიძე ----------

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 41 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს მ.პ. (204 960 694)
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია 1000 ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	31.12.2020	31.12.2019
ძირითადი საშუალებები	5	1,613	1,920
არამატერიალური აქტივები	2	8	10
სულ გრძელვადიანი აქტივები:		1,621	1,930
მარაგები	6	1,896	2,815
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,362	2,487
გაცემული ავანსები	-	1,254	3,811
საგადასახადო აქტივი (სხვა მიმდინარე აქტივი)	8	81	553
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	168	282
სულ მიმდინარე აქტივები:		5,761	9,948
სულ აქტივები:		7,382	11,878
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
მფლობელთა საწესდებო კაპიტალი	-	2	2
გადაფასების რეზერვი	-	-	-
დაუფარავი ზარალი	-	1,320	2,777
სულ კაპიტალი:		1,322	2,779
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	10	1,717	2,591
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		1,717	2,591
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	330	466
მიღებული ავანსები	-	625	4,417
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	10	3,388	1,625
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,343	6,508
სულ ვალდებულებები:		6,060	9,099
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:		7,382	11,878

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან 2021 წლის 30 ივნისს.

დირექტორი: გიორგი ჭრელაშვილი ----------

ფინანსური მენეჯერი: გიორგი კობერიძე ----------

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 41 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	**2020 წელი**	**2019 წელი**
ამონაგები	**12**	27,253	47,788
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**13**	(24,949)	(44,043)
საერთო მოგება:		**2,304**	**3,745**
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	**14**	(1,988)	(1,948)
გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი	**-**	(30)	(65)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**286**	**1,732**
არასაოპერაციო შემოსავალი	**15**	202	365
არასაოპერაციო ხარჯი	**15**	(473)	(49)
ფინანსური შემოსავალი	**16**	914	523
ფინანსური ხარჯი	**16**	(1,792)	(1,531)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	**-**	**(863)**	**1,040**
მოგების გადასახადი ხარჯი	**17**	(89)	-
წმინდა მოგება/ზარალი		**(952)**	**1,040**
სხვა სრული შემოსავალი		**-**	**-**
სხვა სრული შემოსავალი		**(952)**	**1,040**

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 41 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	*აქტივების გადაფასების რეზერვის ზრდა*	*გაუნაწილებელი მოგება*	*სულ საკუთარი კაპიტალი*
31.12.2018	**2**	**10**	**1,727**	**1,739**
წლის სრული შემოსავალი	-	-	1,040	1,040
დივიდენდები	-	-	-	-
31.12.2019	**2**	**10**	**2,767**	**2,779**
წლის სრული შემოსავალი	-	-	(952)	(952)
დივიდენდები	-	-	(505)	(505)
31.12.2020	**2**	**10**	**1,310**	**1,322**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	შენიშვნა	**2020**	**2019**
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		24,858	47,083
მომწოდებლებზე/თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(5,326)	(4,506)
სხვა ხარჯები		(17)	(24)
სხვა შემოსავალი		2	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		**19,517**	**42,553**
გადახდილი პროცენტები		(436)	(528)
საბიუჯეტო გადასახდელები		(3,082)	(7,762)
გადახდილი მოგების გადასახადი		(76)	-
გაცემული ავანსები		(19,006)	(41,241)
მიღებული ავანსები		3,193	8,582
გაცემული დივიდენდი		(480)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**(370)**	**1,605**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(31)	(70)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(31)**	**(70)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის გაცემა		(3,110)	(93)
სასესხო ვალდებულების ზრდა		8,140	18,570
სასესხო ვალდებულებების დაფარვა		(7,662)	(20,164)
მიღებული პროცენტები		12	1
შემოსავალი სესხის დასაფარად		2,911	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**291**	**(1,687)**
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ზრდა		**(110)**	**(152)**
კურსთა შორის სხვაობა		(4)	(16)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა		**(114)**	**(168)**
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი		**282**	**450**
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი		**168**	**282**

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 41 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მ.ჯ.“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც დაფუძნდა 2001 წლის 12 აპრილს და მდებარეობს საქართველოში.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქ. N 5/7-ის მიმდებარედ (ნაკვ. 03/097). „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 5 ა/4-2882 და საიდენტიფიკაციო კოდი: 204 960 694. კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენენ დამფუძნებლები წილების შესაბამისად.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდგომ „ფასს სტანდარტები“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

ფინანსური ანგარიშგების ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება. იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- სამართლიანი ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით
- სამართლიანი ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება. ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით):

ა) თუ კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

ბ) თუ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ფასს 9-ის მოთხოვნები უფრო მეტად იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს-15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას, რომლებიც არ არიან შეფასებული სმართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარებისას კომპანია აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე, რომლის გამიჯვნა ხდება სამდონედ:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რიკსი (1 დონე), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2);
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა,

როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

მოთხოვნების გაუფასურება. კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი წარედგინება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მათი მოკლევადიანი ბუნების გამო სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებად მიჩნეულია მათი სამართლიანი ღირებულება.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

უცხოური ვალუტა და უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 და ერთი ევრო 3.2095 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა-ნაგებობები	20-35 წელი
მანქანა -დანადგარები და მძიმე ტექნიკა	20-50 წელი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	9-25 წელი

ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-20 წელი

არამატერიალური აქტივები. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას აისახება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ითვლება სასრულად და განისაზღვრება 15 წლით არამატერიალური აქტივების ყველა კატეგორიისთვის. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში და გაუფასურებაზე მოწმდება ყოველთვის, როდესაც ჩნდება არამატერიალური აქტივის გაუფასურების ნიშანი. სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამორტიზაციის პერიოდის, ან მეთოდის შეცვლა ხდება, როდესაც არის ცვლილება მოსალოდნელ სასარგებლო მოხმარების ვადაში, ან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ სქემაში და განიხილება როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში. სასრული მოხმარების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების ნაწილად, რაც არამატერიალური აქტივების ფუნქციის შესაბამისია.

კომპანიის სარგებლობაში მყოფ არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა.

მარაგი. მარაგები არის აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამება ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს

გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

მფლობელთა კაპიტალი. მფლობელთა საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი გამოიყენება მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

მოგების გადასახადი. მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი/(ანაზღაურებადი) წლის შემოსავალზე/ (ზარალზე), საანგარიშო თარიღის შესაბამისად არსებული ან სპეციალურად დადგენილი გადასხადის განაკვეთების გამოყენებით, ასევე წინა წლებში არსებული გადასახადების ნებისმიერი კორექტირების გათვალისწინებით.

2017 წლის 1 იანვრიდან საგადსახადო კოდექსში შესული ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა), ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი), გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა.

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიდევით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი. შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება : (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის, ან მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისთვის. დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საგადასახადო აქტივის, ან საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

ამონაგები. ამონაგები აღიარდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, კომპანია ამონაგებს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ მომხმარებელს (კლიენტს) გადაეცემა.

კომპანია აღიარებს საკონტაქტო ვალდებულებებს ანაზღაურებულად (წინასწარ ანაზღაურებულად) საკონტრაქტო შეუსრულებელი სამუშაოების მიხედვით და ამ თანხებს აფიქსირებს, როგორც მიღებული ავანსები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მსგავსად, თუკი კომპანია შეასრულებს კონტრაქტის ვალდებულებებს, მანამ, სანამ მიიღებს ანაზღაურებას, კომპნია აღიარებს მას, როგორც მოთხოვნას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, იმის მიხედვით, არის თუ არა დრო ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.

ამონაგების აღიარებისას კომპანია განიხილავს ხუთ საფეხურიან პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე
5. ამონაგების აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვს და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ხარჯის აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობის შედეგად, როდესაც:

ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების, ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით საწარმომ სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალდებულებებს, და

ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

როდესაც საწარმოს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული, ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და ამასთან, სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება, შესაბამისი ანარიცხის თანხა აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. როდესაც ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა დამოკიდებულია მომავალ მოვლენაზე, რომლის მოხდენის ალბათობა განუსაზღვრელია, ან შეუძლებელია საიმედოდ შეფასება, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გაიშიფრება ინფორმაცია პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით.

დასაქმებულთა გასამრჯელოები. გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმალობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დასაქმებულები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვა განსჯის საკითხია და ეფუძნება ანალოგიურ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს კომპანია აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც ვასკვნით, რომ მართალია Covid_19 პანდემიამ არსებითი გავლენა მოახდინა მის საქმიანობაზე, მაგრამ კომპანიამ შეაფასა თავისი ფინანსური მდგომარეობა, შედეგები, სამომავლო გეგმები და დაადგინა, რომ Covid_19 უარყოფითგავლენას არ მოახდენს კომპანიაზე და მას შესწევს უნარი განაგრძოს ფუნქციონირება.

4. ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ბუღალტრული აღირცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2019 წლის 1 აპრილს დაწყებული საანგარიშგებო პეროდებისთვის.

ცვლილებები ფასს 9-ში: წინასწარგადახდის პირობებთან უარყოფითი კომპენსაციით: ფასს 9-ის თანახმად სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებითთ სხვა სრულ შემოსავალში, თუკი საკონტრაქტო ფულადი ნაკადები არის „მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდები“ (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტის მფლობელი, ამ კლასიფიკაციით, შესაბამისი ბიზნეს მოდელია. ცვლილებები ფასს 9-ში განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად მოვლენის ან გარემოებისა, რომელიც იწვევს ხელსეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას, და მხარისა, რომელიც იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის.
ამ ცვლილებას, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ფასს 16 იჯარა. ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე.ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით).

საიჯარო ხლშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულების) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე, ასევე, ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახდელებში ცვლილება მათი განსაზვრისთვის გამოყენებული

ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს, უფრო დეტალური განმარტებით შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ამ ცვლილებას, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, გავლენა არ მოუხდენია.

ბასს 40 - ის ცვლილება - საინვესტიციო ქონება. ცვლილებები განმარტავს, როდის უნდა გადაიტანოს საწარმომ ქონება, მათ შორის, სამშენებლო ან მოწყობითი სამუშაოების პროცესში მყოფი, საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან. ცვლილებების მხედვით, მიზნობრიობის ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ქონება აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს დანიშნულების შეცვლის მტკიცებულება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ ქონების ექსპლუატაციის განსაზღვრის ცვლილება არწარმოადგენს ქონების დანიშნულების შეცვლისთვის საკმარის მტკიცებულებას. მოცემულ ცვლილებას გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებზე.

ფასიკ ინტერპრეტაცია 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად. ამ ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არა ერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ამ ინტერპრეტაციას გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა. ფასიკ 23 იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აისახოს , ბასს 12-ით გათვალისწინებული, მოგების გადასახდის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, კერძოდ: (I) იხილავს თუ არა საწარმო მოგების გადასახდის გამოთვლასთან დაკავშირებულ საგადასახადო მიდგომებს ცალ-ცალკე; (II)

საწარმოს დაშვებები საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო შემოწმების ჩატარებასთან დაკავშირებით; (III) დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის), საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტებისა და საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრა; და (IV) ფაქტება და გარემოებებში მომხდარი ცვლილებების ეფექტი.

სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის, 2019 წლის 1 იანვრისთვის კომპანიამ გადაწყვიტა ფასიკ 23-ის რეტროსპექტიულად დანერგვა, გაუნაწილებელ მოგებაზე კუმულაციური ეფექტის ასახვის გზით.

სტანდარტები, არსებული სტანდარტების ცვლილებები დაინტერპრეტაციერბი, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოქვეყნებულია რამდენიმე ახალი სტანდარტი, არსებული სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და კომპანიას ვადაზე ადრე არ გამოუყენებია.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია მიღებული იქნება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლისთანავე.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	ოფისის ინვენტარი ტექნიკა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.12.2018	**380**	**18**	**1,497**	**1,025**	**292**	**934**	**4,146**
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	-	-	2	22	7	38	69
გადაფასების კორექტირება	-	-	-	-	-	78	78
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	-	(9)	(11)	(15)	(35)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(14)	-	(22)	(36)
31.12.2019	**380**	**18**	**1,499**	**1,024**	**288**	**1,013**	**4,222**
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	-	-	25	6	-	-	31
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	(10)	(1)	-	(109)	(120)
დაგროვილი ცვეთა	-	-	(3)	(9)	(6)	(145)	(163)
31.12.2020	**380**	**18**	**1,511**	**1,020**	**282**	**759**	**3,970**

							ცვეთა და გაუფასურება
31.12.2018	**-**	**-**	**(714)**	**(592)**	**(197)**	**(602)**	**(2,105)**
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	-	(45)	(52)	(17)	(122)	(236)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	14	-	22	36
31.12.2019	**-**	**-**	**(759)**	**(630)**	**(214)**	**(702)**	**(2,305)**
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	-	(45)	(48)	(15)	(108)	(216)
დაგროვილი ცვეთა	-	-	3	9	6	145	163
31.12.2020	**-**	**-**	**(801)**	**(669)**	**(223)**	**(665)**	**(2,358)**
საბალანსო ღირებულება							
31.12.2018	**380**	**18**	**783**	**433**	**95**	**332**	**2,041**
31.12.2019	**380**	**18**	**740**	**394**	**74**	**311**	**1,920**
31.12.2020	**380**	**18**	**710**	**351**	**59**	**94**	**1,613**

სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. სესხის მიზნობრიობა არის საბრუნავი საშუალებების ფინანსირება.

6. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
სარეალიზაციო მარაგი	1,816	2,733
ნედლეული და მასალები	77	77
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	3	5
სულ მარაგები	**1,896**	**2,815**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	8,942	8,883
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(6,790)	(6,403)
გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე	194	-
მისაღები პროცენტები	10	1
სხვა დარიცხული მოთხოვნები	6	6
სულ მოთხოვნები	**2,362**	**2,487**

სავაჭრო მოთხოვნები ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ვადაგადაცილებული და გაუფასურების გარეშე	31.12.2020	31.12.2019
ვადაგადაცილებული, მაგრამ გაუფასურების გარეშე	941	1,224
ვადაგადაცილება 61-90 დღე	150	227
ვადაგადაცილება 91-180 დღე	136	213
ვადაგადაცილება 181-ზე მეტი	**925**	**816**

8. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019-2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1	8
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	2	12
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	165	262
საერთო ჯამში:	**168**	**282**

10. გრძელვადიანი და მიმდინარე სასესხო ვალდებულება

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ინსტიტუტიდან აღებული სესხი	5,075	4,207
გადასახდელი პროცენტი	-	9
ჯამში:	**5,075**	**4,216**

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	2019
სესხი ბანკიდან N 10345/ 10637736	8%	15.09.2022	USD	3,707 GEL
სესხი ბანკიდან N 10345/ 10218679	8%	01.10.2020	USD	500 GEL
				4,207 GEL

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	2020
სესხი ბანკიდან N 10345/ 10637736	8%	15.02.2023	USD	2,950 GEL
სესხი ბანკიდან N 10345/ 10218679	8%	01.10.2021	USD	2,125 GEL
				5,075 GEL

სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. სესხის მიზნობრიობა არის საბრუნავი საშუალებების ფინანსირება.

წმინდა სესხი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია წმინდა სესხის ანალიზი და კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების მოძრაობა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდში. ამ ვალდებულებებში შედის ის პუნქტები, რომლებიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში შესულია ფინანსურ საქმიანობაში.

	31.12.2020	31.12.2019
1 იანვარი	**4,216**	**4,785**
დამატება წლის განმავლობაში	7,825	18,570
საპროცენტო ხარჯი წლის განმავლობაში	429	539
საპროცენტო გადახდები	(429)	(530)
ძირითადი თანხის გადახდები	(7,374)	(19,624)
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული (მოგება)/ზარალი,წმ.	408	476
31 დეკემბერი	**5,075**	**4,216**

<u>საბანკო სესხებიდან გამომდინარე სხვა ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები</u>

თიბისი ბანკთან არსებული სესხის მიხედვით კომპანია ვალდებულია დაიცვას გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულები. კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

ფინანსური შეზღუდვები	**ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტები**
მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან	NW Capital არანაკლებ 1,2 მლნ დოლარისა
Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1,2 დონეზე
დაკავშირებულ მხარეებთან დებიტორული დავალიანების ნაშთი	არ უნდა აღემატებოდეს 300 000 ლარს.

კომპანია გარკვეულწილად შესაბამისობაშია ამ მოთხოვნებთან.

გარდა ფინანსური მოთხოვნებისა კომპანიას ნაკისრი აქვს არაფინანსური საოპერაციო ვალდებულებები, კერძოდ:

- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აიღოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება, გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა, რაც საფრთხეს უქმნის ბანკის ვალდებულებების შესრულებას.
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ ან გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული აქტივები.
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები ან ინვესტიციები სხვა კომპანიებში თვეში 50,000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობით.
- სესხის მოქმედების პერიოდზე მსესხებელი/პრინციპალი ვალდებულია საბანკო ბრუნვები სრულად აწარმოოს სს თიბისი ბანკში.
- კომპანიას უფლება არა აქვს უცხო პირზე გასცეს სესხები.
- მსესხებელი ვალდებულია ყოველთვიურად წარმოადგინოს დეტალური ფინანსური ინფორმაცია.

ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებით კომპანიას არ ჰქონია შეუსაბამობა.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	330	466
სულ ვალდებულება	**330**	**466**

12. ამონაგები

	31.12.2020	31.12.2019
სამშენებლო მასალები	26,878	47,150
შემოსავალი იჯარიდან	161	131
შემოსავალი ტრანსპორტირებიდან	80	58
სხვა შემოსავალი რეალიზაცია/მომსახურებიდან	63	12
შემოსავალი მზა პროდუქციიდან	49	91
შემოსავალი მომსახურებიდან	22	346
საერთო ჯამში	**27,253**	**47,788**

ამონაგების შემცირება გამოწვეულია პანდემიასთან დაკავშირებულ მოვლენებთან.

13. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	31.12.2020	31.12.2019
სამშენებლო მასალების ხარჯი	(24,849)	(43,922)
სხვა პროდუქციის ხარჯი	(58)	(46)
წარმოებისთვის შეძენილი მასალის ხარჯი	(23)	(48)
ბეტონის დასამზადებელი მასალის ხარჯი	(19)	(27)
საერთო ჯამში	**(24,949)**	**(44,043)**

14. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2020	31.12.2019
დასაქმებულთა გასამრჯელო	(892)	(971)
დებიტორული დავალიანების ანარიცხები	(423)	(173)
ცვეთა და ამორტიზაცია	(219)	(238)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	(144)	(236)
ძ.ს მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(122)	(44)
საწვავის ხარჯი	(98)	(210)
კომუნალურების ხარჯი	(34)	(35)
სხვა საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(23)	-
საბანკო პროცენტის ხარჯი	(14)	(17)
იჯარის ხარჯი	(13)	(17)
სხვა ხარჯები	(6)	(7)
საერთო ჯამში	**(1,988)**	**(1,948)**

15. არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

	31.12.2020	31.12.2019
საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული შემოსავალი	36	258
სახელმწიფოს შეღავათი საშემოსავლო გადასახადზე	27	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26	45
ძ.ს რეალიზაციით მიღებული შედეგი	(7)	13
ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზარალი	(353)	-
საერთო ჯამში	**(271)**	**316**

16. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული-ათასი ლარი	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშზე	20	2
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება	894	442
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	-	79
სულ ფინანსური შემოსავალი:	**914**	**523**
ფინანსური ხარჯი		
საპროცენტო ხარჯი	(431)	(538)
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	(1,361)	(969)
სხვა არასამეწარმეო ხარჯი	-	(25)
სულ ფინანსური ხარჯი:	**(1,792)**	**(1,532)**
წმინდა ფინანსური ხარჯი/შემოსავალი	**(878)**	**(1,009)**

17. მოგების გადასახადის ხარჯი

მიმდინარე მოგების გადასახადი დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან, რომლებიც იბეგრება ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის გაცემულ დივიდენდებზე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ დივიდენდებზე დარიცხული მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენს 89 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გაუცია დივიდენდი)

18. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამრთლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	168	282
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,362	2,487
სულ ფინანსური აქტივები	**2,530**	**2,769**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	330	466
სასესხო ვალდებულება	5,105	4,216
სულ ფინანსური ვალდებულებები	**5,435**	**4,682**

კაპიტალის მართვის მიდგომა. კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები. ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის

მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების **(საპროცენტო რისკი)** და ვალუტის კურსის **(სავალუტო რისკი)** ცვლილებების შედეგად.

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი აქტივების/ვალდებულებების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე, ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

საკრედიტო რისკი. კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანიას გააჩნია პროცედურები, რომელთა მეშვეობით იგი უზრუნველყოფს, რომ მომსახურება გაეწიოს სათანადო საკრედიტო ისტორიის კლიენტებს და/ან ამოქმედდეს გადახდის ალტერნატიული პროცედურები (ავანსით გადახდა).

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

<u>საბანკო სესხებიდან გამომდინარე სხვა ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები</u>

თიბისი ბანკთან არსებული სესხის მიხედვით კომპანია ვალდებულია დაიცვას გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულები. კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

ფინანსური შეზღუდვები	**ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტები**
მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან	NW Capital არანაკლებ 1,2 მლნ დოლარისა
Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1,2 დონეზე
დაკავშირებულ მხარეებთან დებიტორული დავალიანების ნაშთი	არ უნდა აღემატებოდეს 300 000 ლარს.

კომპანია გარკვეულწილად შესაბამისობაშია ამ მოთხოვნებთან.

გარდა ფინანსური მოთხოვნებისა კომპანიას ნაკისრი აქვს არაფინანსური საოპერაციო ვალდებულებები, კერძოდ:

- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აიღოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება, გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა, რაც საფრთხეს უქმნის ბანკის ვალდებულებების შესრულებას.

- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ ან გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული აქტივები.
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები ან ინვესტიციები სხვა კომპანიებში თვეში 50,000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობით.
- სესხის მოქმედების პერიოდზე მსესხებელი/პრინციპალი ვალდებულია საბანკო ბრუნვები სრულად აწარმოოს სს თიბისი ბანკში.
- კომპანიას უფლება არა აქვს უცხო პირზე გასცეს სესხები.
- მსესხებელი ვალდებულია ყოველთვიურად წარმოადგინოს დეტალური ფინანსური ინფორმაცია.

ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებით კომპანიას არ ჰქონია შეუსაბამობა.

სავაჭრო მოთხოვნები. საკრედიტო რისკის მიმართ „კომპანიის“ დამოკიდებულებაზე ძირითადად მოქმედებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ამასთან, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს „კომპანიის“ მომხმარებელთა დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომლებშიც მომხმარებლები მოღვაწეობენ, რადგან ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიოს საკრედიტო რისკზე.

„კომპანიის“ ხელმძღვანელობამ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება „კომპანიის“ სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზება. „კომპანიის“ განხილვა/შემოწმება მოიცავს ინფორმაციის ანალიზს გარე რესურსებიდან მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

„კომპანიის“ მომხმარებელთა 90%-ზე მეტს სამ წელზე მეტია საქმიანი ურთიერთობა აქვს „კომპანიასთან“ და ზარალს იშვიათად ჰქონდა ადგილი. მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას მომხმარებლები დაჯგუფებულები არიან მათი საკრედიტო მახასიათებლების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ხანდაზმულობისა და ვადაგადაცილების ისტორიის, ასევე წინა პერიოდებში ფინანსური სირთულეების არსებობის მიხედვით. მისაღები ანგარიშები მიეკუთვნება „კომპანიის“ საბითუმო მომხმარებლებს. „კომპანია“ არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

„კომპანია“ განსაზღვრავს სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაუფასურების რეზერვს. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია მნიშვნელოვან ინდივიდუალურ აღმოჩენასთან დაკავშირებული სპეციფიკური ზარალი და მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის დადგენილი ზარალი,

რომელიც დადგა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი. კოლექტიური ზარალის რეზერვი განისაზღვრება მსგავსი ფინანსური აქტივების სტატისტიკაზე დაყრდნობით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ვადაგადაცილებული თანხები, რომლებიც არ არიან გაუფასურებული კვლავ ამოღებადია, განვლილი წლების განმავლობაში გადახდების გამოხდილებაზე და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო მაჩვენებლებზე (ასეთების არსებობის შემთხვევაში) დაყრდნობით.

წლის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვში მოძრაობა იყო შემდეგი:

	31.12.2020	31.12.2019
ნაშთი წლის დასაწყისში	6,403	6,489
აღიარებული გაუფასურების ზარალი	423	173
ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა	(36)	(257)
ნაშთი წლის ბოლოს	**6,790**	**6,403**

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	330	-	**330**
სასესხო ვალდებულება	3,388	1,717	**5,105**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,718**	**1,717**	**5,435**

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	466	-	**466**
სასესხო ვალდებულება	1,625	2,591	**4,216**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**2,091**	**2,591**	**4,682**

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები	**31.12.2020**	**31.12.2019**
გაყიდვები	726	37
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	146	-
მისაღები პროცენტები	4	-
მიმდინრე სასესხო ვალდებულება	(27)	-
სესხზე გადასახდელი პროცენტი	(3)	8
სულ:	**846**	**45**

კომპენსაცია ხარჯად აღიარებული	**31.12.2020**	**31.12.2019**
შრომის ანაზღაურება	280	214
გაყიდვები	5,221	10,930
საპროცენტო ხარჯი	3	40
სასესხო ვალდებულება	153	824
სასესხო მოთხოვნები	781	285
გადახდილი ავანსები	22	-
მისაღები პროცენტები	3	-
მიღებული ავანსები	784	-
საიჯარო შემოსავალი	6	6
სულ:	**7,253**	**12,299**

21. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2021 წლის 30 ივნისს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

COVID-19. 2020 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა ვირუსი Covid-19, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტის თარიღისთვის პანდემიად იქნა მიჩნეული.

აღნიშნული კრიტიკული სიტუაციის სამართავად საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. COVID-19-ის შემდგომმა გავრცელებამ საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკაზე. კომპანია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

მმართველობითი ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს „მ.ჯ“ (ს/კ 204 960 694) (შემდგომში “კომპანია”) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქ. N 5/7-ის მიმდებარედ (ნაკვ. 03/097).

1. ***კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:***

იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე, კერძოდ, „კომპანია“ ახდენს პროდუქციის იმპორტს და გაყიდვისთვის შესაბამისი ფორმისა და ზომის მიცემას. კომპანიას ფილიალები არ აქვს, თუ არ ჩავთვლით მცირე ზომის სარეალიზაციო პუნქტს (საწყობს) ქ. ბათუმში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 25% წილის მფლობელია მალხაზ ისაკაძე შპს მირა (პ/ნ 01023004568), 25% წილის მფლობელია პაატა ეზიეშვილი (პ/ნ 35001007755), 25% წილის მფლობელია კახა კობერიძე (პ/ნ 01029004050) და 25% წილის მფლობელია გიორგი კობერიძე (პ/ნ 01031006812). კონტროლის უფლება ყველა წილის მფლობელს აქვს თანაბრად გადანაწილებული.

2. ***კომპანიის განვითარების გეგმები:***

კომპანიის მთავარი ფოკუსი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება.

3. ***კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:***

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. ***ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი***

რისკების წინაშე:

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების

და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვლისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან .

საკრედიტო რისკის გავლენა

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა 168 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

„კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის“ განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის დოლარი.

სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას“ არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

5. ინფორმაცია ***ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა*** და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „მ.ჯ-ის“ დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგება.

თარიღი: 30/06/2021 წ.

დირექტორი:

გიორგი ჭრელაშვილი

მმართველობითი ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს „მ.ჯ" (ს/კ 204 960 694) (შემდგომში "კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქ. N 5/7-ის მიმდებარედ (ნაკვ. 03/097).

1. ***კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:***

იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე, კერძოდ, „კომპანია" ახდენს პროდუქციის იმპორტს და გაყიდვისთვის შესაბამისი ფორმისა და ზომის მიცემას. კომპანიას ფილიალები არ აქვს, თუ არ ჩავთვლით მცირე ზომის სარეალიზაციო პუნქტს (საწყობს) ქ. ბათუმში.
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 25% წილის მფლობელია მალხაზ ისაკაძე შპს მირა (პ/ნ 01023004568), 25% წილის მფლობელია პაატა ეზიეშვილი (პ/ნ 35001007755), 25% წილის მფლობელია კახა კობერიძე (პ/ნ 01029004050) და 25% წილის მფლობელია გიორგი კობერიძე (პ/ნ 01031006812). კონტროლის უფლება ყველა წილის მფლობელს აქვს თანაბრად გადანაწილებული.

2. ***კომპანიის განვითარების გეგმები:***

კომპანიის მთავარი ფოკუსი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება.

3. ***კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:***

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. ***ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი***

რისკების წინაშე:

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია" დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე" ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის" მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების

და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვლისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან .

საკრედიტო რისკის გავლენა

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა 168 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის" მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

„კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის" განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის დოლარი.

სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას" არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას" ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

5. ინფორმაცია *ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა* და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „მ.ჯ-ის" დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგება.

თარიღი: 30/06/2021 წ.

დირექტორი:

გიორგი ჭრელაშვილი

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 41 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს